572
1964/2.

1964 მაისი

ყანწი

№5

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლექსი იოსებ ნონეშვილისა

მუსიკა მერი დავითაშვილისა



მაისი

მთები,
ზღვები,
მინდორ-ველი
გაზაფხულის შუქით ელავს.
ზანგი,
ფრანგი,
ინდოელი
სამაისოდ მღერის ყველა.
მშვიდობისთვის ბრძოლის დღეა,
ხალხთა ბრძოლის დღე დიადი,
ანთებულა ნაირფერად
ჩვენი ქვეყნის განთიადი.
ჩვენც მოვდივართ, მოვიმღერით,
ჩვენც შევხარით მშობელ მხარეს
და ალამი ოქტომბრელის
მოგვაქვს ლაღად მოფრიალე!

ნახატი ო. ჯიმჯარიანისა

19 მაისი ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერორგანიზაციის დაბადების დღე

გურამ ბახბაძე

ნახატები რ. ცუცქირიძისა

კარავი

ოქტომბრელის პირას დიდი, ნარინჯისფერი სახლი მოჩანს. ეს საჯავახოს საშუალო სკოლაა. ეზოში შტოებისაგან აგებული კარავი დგას. კარავის წინ ხის ჯირკია, იქვე კარდალაც ჰკიდია...

ამ კარავს ბელადის—ვლადიმერ ილიას ძე ლენინის კარავს ეძახიან. როცა მშრომელებს დიდი ლენინი მეფის წინააღმდეგ საბრძოლველად რაზმავდა, ერთ ზაფხულს სწორედ ასეთ კარავში ცხოვრობდა იგი.

ოქტომბრელებს ეს ამბავი პიონერებმა უამბეს, კარავის ნახატიც აჩვენეს. შემდეგ ყველამ ერთად სკოლის ეზოში კარავის აშენება დაიწყო.

ტყიდან შტოები და ჯირკი მოიტანეს, მინდვრიდან—თივა. მალე კარავი მზად იყო. რომ იცოდეთ, როგორ ჰგავს იგი წიგნში დახატულს.

ყოველ დილით, როცა ოქტომბრელები სკოლაში მოდიან, ცოტა ხნით კარავთან ჩერდებიან. ოცნებაში გართულებს ასე ჰგონიათ, რომ აი, ახლა გამოჩნდება დიდი ლენინი!...

ნათელა ხელმძღვანელი ხშირად შეკრებს ხოლმე კარავთან ბავშვებს და უკითხავს წიგნებს დიდი ბელადის შესახებ. აქ ატარებენ პიონერები საზეიმო ხაზს, აქ დაუბნიეს მკერდზე ოქტმბრელის ვარსკვლავი იამზეს, გურამს, ეთერს, ამირანს და სხვა ყოჩაღ ბავშვებს.

9368

ხეებს რწყავენ

ოქტომბრელები ნამდვილად ყოჩაღები არიან. ყოველთვის, როცა პიონერები კარგ საქმეს წამოიწყებენ, პატარებიც იქ გაჩნდებიან ხოლმე.

შარშან გაზაფხულზე პიონერებმა ასი დიდი ორმო ამოთხარეს, ასი ნერგიც

ჩარგეს. მეორე დღეს მოსარწყავად რომ მივიდნენ, გაოცდნენ.—ვიღაცის ყოჩაღ მარჯვენას ყველა ხე მოერწყო.

ასე იყო მესამე და მეოთხე დღესაც, მთელი თვე და მთელი ზაფხული. ხეებს მორიგეობით რწყავდნენ იამზე, ნათელა, ომარი და სხვა ოქტომბრელები.

ხეებმა ტანი იყარეს და ისე მალე გაიზარდნენ, რომ სიმაღლეში გაუსწრეს პატარებს.

ასი, ასი, ასლამაზი...

ლუიზას მთელი სკოლა იცნობს. იგი მესიმინდეთა რგოლის ხელმძღვანელია. სკოლის ეზოში ისეთი კარგი სიმინდი მოჰყავთ პიონერებს, რომ სანახავად ხშირად ჭაღარა კოლმეურნეებიც კი მოდიან.

ნორჩ მესიმინდეებს რიონის ნაპირიდან მოაქვთ შლამი და ბუდნეებში ყრიან. ერთ დღეს ქალაქში მიმავალი მანქანის ძარაში ლუიზამ შემალული პატარები შენიშნა.

— აქ რას აკეთებთ, რა გინდათ?— გაუკვირდა ყველას.

იამზესა და ამირანს მანქანიდან ჩამოსვლა არ უნდოდათ, მაგრამ რა ექნათ! ჩამოვიდნენ და წაილუღლუღეს:— შლამის მოტანა ჩვენც გვინდოდაო...

ლუიზამ და მისმა მეგობრებმა გაიცინეს და ასე უთხრეს:ჯერ პატარები ხართო.

მართალია შლამის მოსატანად არ წაიყვანეს, მაგრამ პატარა ნაკვეთი მაინც გამოუყვეს. აქ დათესავენ ოქტომბრელები სიმინდს. დათესავენ და მოუვლიან. ვნახოთ, რამდენ ტაროს მოისხამს ყოველი ძირი.

მანამდის კი, ყველა ოქტომბრელმა ზეპირად იცის ეს გამოცანა:

ასი, ასი, ასლამაზი,
ასი კაბა მაცვია,
აბრეშუმის ქოჩორი
გვერდზე გადამვარცხნია.

რომლის პასუხია: სიმინდი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მუზეუმი

სკოლაში ბევრი ოთახია. ყველა ფანჯრის რაფაზე ყვავილები აწყვია. ჭერიც ყვავილებისა და გირჩების ჭაღებით არის დამშვენებული. ყოველი ოთახი ლამაზია, მაგრამ ერთი მათგანი ყველაზე უფრო უყვართ ბავშვებს.

ამ ოთახის კედლებზე უამრავი სურათია გაკრული, მაგიდებზეც ბევრი წიგნი აწყვია. ყველას ერთი ძვირფასი სახელი აწერია—ლენინი.

ლენინი ულიანის ბავშვებს ფოტოსურათებიდან, დიდი ბელადი შემოსცქერის ოქტომბრელებს ნახატებიდანაც.

ამ ოთახში ვ. ი. ლენინის მუზეუმია მოთავსებული. იამზეს, ლალის, ეთერს და სხვა ოქტომბრელებს ძალიან უყვართ ამ ოთახში შემოსვლა. ყოველ სურათზე ბევრ საინტერესოს უამბობენ პატარებს პიონერები. აქ შეიტყვეს ოქტომბრელებმა, თუ რა შეუპოვარი და უშიშარი იყო ლენინი, რა ვაჟკაცურად ებრძოდა იგი მტრებს.

როცა გაიზრდებიან, ოქტომბრელები იმ წიგნებსაც წაიკითხავენ, რომლებიც მუზეუმის თაროებზე აწყვია. ახლა კი ცდილობენ ისე ისწავლონ, როგორც მათ ძია ლენინმა უანდერძა.



ჯადოსანი სარეცხი

ლოლო ვალაჭკორია ნახატები გ. როინიშვილისა

— წკრრ, წკრრ, წკრრ!

— ვინ არის?

— მეე, მეე, კარი გამიღეე!

— რა მოგაქვს?

— ჯიბეებით თოჯინების კაბები!— კარებშივე ახარა ლიზიკომ დედას.—მე თვითონ დავრეკე ზარი! არა, თამრიკო?

— მელამ თავისი კუდი მოწმედ მოიყვანაო,—გაეცინა დედას.

ლიზიკო ასკინკილით შევიდა ოთახში და სათამაშო მაგიდაზე თოჯინის დაჰმუჭნული კაბები დაყარა.

— უნდა გარეცხო?—ჰკითხა დედამ.

ლიზიკომ ამაყად დაიქნია თავი. მერე სარკესთან ნაწნავები აიწია, დედას წინსაფარი გამოართვა და სამზარეულოსაკენ წავიდა.

თამრიკოც უკან გაჰყვა.

ლიზიკომ პაწია სათამაშო ქვაბი წყლით აავსო და სადილის ვეება ქვაბს გვერდით მიუდგა გასათბობად. მერე სკამი თაროსთან მიიტანა და ზედ თითის წვერებზე შედგა, თასის გადმოღება დააპირა.

— მოიცა, მე მოგაწოდებ.—უთხრა თამრიკომ.

— მე თვითონ ვიცი, რა უნდა გავაკეთო.

თაროდან კი, თითქოს ერთიმეორეს გამოედევნაო, გრიალით და ერთი ორომტრიალით დაეშვა თასები. დაფრთხა ლიზიკო, ვერც კი მიმხვდარიყო რა მოხდა, პირდამხობილ თასებს გაოცებული დაჰყურებდა.

— კიდევ კარგი, არ დაიმტვრა. აჰა, ამაში გარეცხე,—უთხრა თამრიკომ და პატარა თასი მიაწოდა.

გახარებულმა ლიზიკომ მთელი სარეცხი ერთად ჩაყარა შიგ, ზემოდან ცივი წყალი დაუშვა. მერე გასათბობად შემოდგმული ქვაბი მოაგონდა. მისწვდა, მაგრამ უკვე გაცხელებულიყო. ჰოდა, თითები, რომ არ დასწვოდა, აქაც თამრიკომ უშველა.

— ეგრე არა, ლიზიკო, ერთად ნუ ჩაჰყრი, თორემ სარეცხი აგიჭრელდება.

— ამიჭრელდება?—დაფიქრდა ლიზიკო.—უფრო ლამაზი არ იქნება?

სულ მალე ღუმელთან ოხშივარი ასდიოდა აჭრელებულ სარეცხს.



ბიბოდარი

„ყველაზე ლამაზი ტანსაცმელი ჩემს თოჯინას ექნება,“—ფიქრობდა მეორე დილით გახარებული ლიზიკო და სარეცხის ფუთით ხელში უფროს დას საბავშვო ბაღში მიჰყვებოდა.

ბაღში უკვე მისულიყვნენ ბავშვები და გულიანად იცინოდნენ.

„ვაიმე! ეს რა არის?“

თინასაც ჭრელი სარეცხი მიუტანია, იმას დასცინიან.

— საწყალი დედოფალა, როგორი ულამაზო ტანსაცმელი აცვია,—ამბობდა ნინიკო,—ცალი წინდა მწვანეა, ცალი ყავისფერი.

— აბა, შენი სარეცხი მიჩვენე!—ლიზიკომ მკლავზე მოსწია ნინიკოს.

— აი!—ნინიკომ ხელში აყვანილი თოჯინა უჩვენა.

— არა, მე მაინც ჩემი თოჯინას აჭრელებული კაბები მირჩევნია!—იხტიბარი არ გაიტეხა ლიზიკომ და თავისი ფუთის გახსნას შეუდგა.

ბავშვები გარს შემოეხვივნენ.

— ვაი!—გაიოცა ლიზიკომ.

— ყოჩაღ, ლიზიკო კარგად გაგირეცხავს.—თავზე წამოადგა დეიდა ნატალია.

— ჩემიც ჭრელი იყო,—გაკვირვებული აცვეცებდა გოგო თვალებს,—მართლა ჭრელი იყო!

რა მოხდა? საიდან გაჩნდა ლიზიკოს ფუთაში კარგად გარეცხილი სარეცხი?

დეიდა ნატალიას ეღიმებოდა და არავის უმხელდა, რაც თამრიკომ საიდუმლოდ გაანდო: „ლიზიკო შემეცოდა და დაიძინა თუ არა, თოჯინას კაბები ხელმეორედ გავურეცხეო“.

მიხეილ ქვლივიძე

დილით ადრე გაიღვიძებს,
მოედება ეზოებს,
მხიარული შემახილით
ძილს გაუფრთხობს მეზობლებს.

მეც ამაგდებს ლოგინიდან,
ვარჯიშს დამაწყებინებს,
ჩვენი ქვეყნის ახალ-ახალ
ამბებს გამაგებინებს.

რაც კი ხდება ქვეყნად კარგი,
სურს უმალვე მახაროს:
სად შენდება ელსადგური,
სად ითხრება მადარო.

ხან სიმღერას გამაგონებს,
ხან ზღაპრებით გამაროობს,
ხან ახალი აღმოჩენის
საიდუმლოს გამანდობს...

ვუსმენ, ვუსმენ და მის ახლო
მზად ვარ ღამე ვათიო...
გაიცანით ჩემი კარგი
მეგობარი — რ ა დ ი ო!







ნახატი-ხუმრობა ე. ამბოკაძისა

მ. თოდუაძე

ორი ილიკო

ერთ საბავშვო ბაღში ორი ილიკოა. დიდი ილიკო და პატარა ილიკო. პირველ დღეს პატარა ილიკომ ბევრი იტირა.

— დედა მინდაა! — ისმოდა გაბმული ზლუქუნი.

— თვითმფრინავი არ გინდა? — გაუწოდა თავის ტოლა ბიჭუნამ ახალთ-ახალი სათამაშო.

— არ მინდა... ჩემი დედა მინდა!... — ღრიალებდა ილიკო.

— სირბილი იცი?—მივიდა მასთან მაღალი, ქოჩორა ბიჭი.—გაიქეცი, მე დაგიჭერ.

ილიკომ ბიჭს ცერად გახედა და ტირილს უკლო.

— გაიქეცი, — უთხრა ისევ ბიჭმა და ხელი უბიძგა. ილიკო უცებ წამოხტა და მოჰკურცხლა. ბიჭი გამოუდგა; სდია, სდია, ბოლოს ხელი სტაცა და დაიჭირა.

— გამიშვი! — გაიწია ილიკო.

— ახლა შენ დამიჭირე, — უთხრა ბიჭმა და გვერდზე გახტა. ბიჭი ილიკოზე დიდი იყო. გრძელი ფეხები ჰქონდა და დიდ ნაბიჯებს ადგამდა. ილიკო გაეკიდა და ვერ დაიჭირა. ის იყო პირი დააღო, უნდა აღრიალებულიყო, რომ ბიჭმა სიარულს უკლო. ილიკო მივარდა და ხელი სტაცა.

— დაგიჭირე, დაგიჭირე! — იძახდა ხმამაღლა, უხაროდა, იცინოდა.

— პატარა ილიკომ დიდი ილიკო დაიჭირა! — დაიძახა ვიღაცამ.

— ძლივს არ გაიცინა! — გაიხარეს ბავშვებმა.

— მომეცი ხელი, — უთხრა დიდმა ილიკომ, ხელი მაგრად ჩამოართვა და უთხრა:

— ახლა ქვითა ვართ!

ნახატი ჯ. ლოლუასი



— ახლა ქვითა ვართ, — გაიმეორა პატარა ილიკომ.

ბიჭები მალე დამეგობრდნენ. ერთად თამაშობდნენ, ერთად სეირნობდნენ.

— ილიკოები მოვიდნენ...

— ილიკოები წავიდნენ, — ამბობდნენ ბავშვები.

ერთხელ პატარა ილიკო ავად გახდა. დიდი სიცხე ჰქონდა. შუალამისას ლოგინში წამოჯდა და ტირილი მორთო.

— რატომ ტირი? — ეფერებოდა დედა.

— დიდი ილიკო მინდაა!—უფრო ატირდა ბიჭი. დედა შეწუხდა:

— ახლა უველა ბავშვს სძინავს, დიდი ილიკო საიდან მოგიყვანო!

— დიდი ილიკო მინდაა!.. — ისევ დააღო პირი ილიკომ. იტირა, იტირა და ჩაეძინა. დილით თვალი რომ გაახილა, საწოლთან დიდი ილიკო უჯდა და უცინოდა.

ავადმყოფს მისი დანახვა ძალზე ეამა.

— ხვალ რომ ავდგები, კიდევ ვითამაშოთ! — შესძახა გახარებულმა.—მე გავიქცევი და შენ დამიჭირე, მერე შენ გაიქეცი და მე დაგიჭერ. ახლა ქვითა ვართ, გეტყვი და ხელს ასე ჩამოგართმევ, — გაუწოდა სიცხიანი ხელი მეგობარს.

MiŠ
პოლონურ საბავშვო ჟურნალ „მიშ“-იდან

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლიალია

გარაჟში, სავარძლის ქვეშ წითელი მანქანა იდგა. ბიმბამბომი და დათუნია დილიდანვე რაღაცას უკირკიტებდნენ.

— მანქანა უკვე მოვმართეთ!— თქვა ჯამბაზმა.

დათუნია საჭეს მიუჯდა, ხოლო თოჯინები—როზა და ლიალია გვერდით მიუსხდნენ.

ავტომობილი უცბად დაიძრა, გაიარა ღია ჭიშკარი და ქუჩაში გავიდა.

— გააჩერე, გააჩერე, დათუნია!— აყვირდნენ შეშინებული თოჯინები, მაგრამ დათუნიამ მანქანის დამუხრუჭება არ იცოდა.

ბიმბამბომი და ხავერდისებრწვიანი კურდღელი, რომლებიც ავტომობილს მისდევდნენ, შორს ჩამორჩნენ.

მანქანა დიდი სისწრაფით უახლოვდებოდა გუბეს.

— კატასტროფა!—იყვირეს თოჯინებმა.

გუბემდე ორი ნაბიჯიღა იყო დარჩენილი, მერე—ერთი... დათუნიამ თვალები დახუჭა.

მოულოდნელად მანქანა გაჩერდა. ვრრრ... ვრრრ...— ერთი-ორჯერ გაისმა მოტორის ხმა და დადუმდა.

დათუნამ ნელა გაახილა თვალი და ცხვირიდან ცივი ოფლი მოიწმინდა.

მანქანის წინა ნაწილი მთლიანად წყალში ჩამჯდარიყო. მათი ბედი, რომ დროზე გაჩერდნენ, თორემ სამივე ცივ გუბეში იბანავებდა.

თავდახრილი დათუნია სახლისაკენ მიდიოდა და კანაფით მანქანას მიათრევდა.

თარგმანი **ანზორ აბულაშვილისა**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

თეიმურაზ ნაცვლიშვილი

ფისო და ბურთი

ზღაპარი

იყო ერთი პატარა ფისო, ცელქი, მოუსვენარი და ეშმაკი. დედამისი — დიდი ფისო მიუჯებოდა ხოლმე პატარა ფისოს მამას — გრძელულვაშა, დინჯ კატას და შესჩივლებდა:

— რა მოვუხერხოთ ჩვენს ონავარ შვილს?...

— არა უშავს, მეც ასეთი ვიყავი ბავშვობაში!—იტყოდა კატა და დინჯად გადაისვამდა თათს ულვაშზე.

პატარა ფისოსათვის რომ გეკითხათ, ვინ გიყვარს ყველაზე მეტადო, გიპასუხებდათ: დიდი ფისოო.

— [illegible] ეტყვით, საქმით კი, აი, ეს გიყვარ ბურთი [illegible]ვარს ყველაზე მეტად მაგ ეშმაკს, მაგას! — [illegible]ამბობდა გულნატკენი დიდი ფისო.

და მართლაც მთელი დღე რომ ერთად ეთამაშათ პატარა ფისოს და წითელლოყა ბურთს, ერთმანეთი არ მობეზრდებოდათ.

ჰო! სულ [illegible] ფისოების ოჯახი ერთ გულკეთილ [illegible] ცხოვრობდა.

— ნუ ეშმაკობ! —[illegible]ლებდა ხოლმე გულკეთილი ბებო [illegible] ფისოსა და ბურთს, — თორემ რაიმე [illegible]ფათს გადაეყრებით!

ერთ [illegible] პატარა ფისო [illegible] წითელლოყა ბურთი [illegible]ულებრივ თამა[illegible] ფისომ ბურთი [illegible] და [illegible] [illegible]ბრაზდა პატარა ფისო და ერთ [illegible] [illegible]ეშმაკრა თათი ბურთს წითელ [illegible] [illegible]ურთს თავი ვერ შეიმაგრა, [illegible] ფანჯარაში [illegible] და ეზოში გადახტა.

პატარა ფისომ მეზობლის [illegible] [illegible]ებაში რომ დაინახა, არც [illegible], არც აცხელა და პირდაპირ ფანჯარას [illegible]ევლო... უნდა გენახათ კეთილი ბებოს სახე: თვალები ცრემლით აევსო, თავში ხელები წაიშინა:—„დამეღუპა პატარა ფისოო“!..

დიდი ფისოები კი დინჯად ისხდნენ ბუხართან და ერთმანეთს შესცქეროდნენ.

— ნუ გეშინია, კეთილო ბებო! — თვალმომწონედ ეუბნებოდა ბებოს დიდულოვანი კატა, — პატარა ფისო ჩვენი ჯიშის არის და საიდანაც არ უნდა გადახტეს, მაინც ფეხზე დადგება!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აკაკი არმილაძე

ნახატი გ. გელოვანისა

ველ-სიკვდი

ამირანმა ველოსიპედი ეზოს ჭიშკართან შეაჩერა, ძირს ჩამოვიდა და ცალი ხელით ჭიშკარი გამოაღო.

— რა კარგი ველოსიპედი გიყიდია.—უთხრა დათომ და პრიალა, ახალ ველოსიპედს თვალი ვერ მოაშორა.

— ისე მიდის, რომ მანქანასაც გაუსწრებს.— თქვა თავმომწონედ ამირანმა, ველოსიპედი ეზოში შეიყვანა და წმენდა დაუწყო.

„რა კარგი იქნება, ასეთი ველოსიპედი მეც რომ მქონდეს“.—გაიფიქრა დათომ.

— რამ დაგაღონა, დათო?—ჰკითხა ამირანმა. —მოდი, ბურთი ვითამაშოთ.

— არა, დედამ დამიბარა, შინ ადრე მოდიო.— უთხრა დათომ და ეზოდან გავიდა.

მეორე დღეს ამირანი სათევზაოდ წავიდა. სალამოს შინ რომ დაბრუნდა, ველოსიპედი ეზოში აღარ დაუხვდა. გაოცდა ბიჭი, ყველგან მოძებნა, მაგრამ ველოსიპედი ვერსად იპოვა.

ბოლოს გადაწყვიტა, მეზობლის ბიჭებში მოვიკითხავო.

ეზოდან რომ გავიდა, თავის ველოსიპედზე წამოხტუპებული დათო დაინახა.

ამირანი გაბრაზდა, ველოსიპედს წინ გადაუდგა და დათო მაშინვე ძირს ჩამოსვა. უნდოდა ერთიორი მუშტი ეთავაზებინა, მაგრამ როცა დაინახა, დათო თავდახრილი იდგა და თავს დამნაშავედ გრძნობდა, შეებრალა.

— დათო, იცოდე სხვა დროს უჩემოდ ველოსიპედისათვის თუ ხელი გიხლია, კარგ დღეს არ დაგაყრი!

მობუზული დათო შინისაკენ წავიდა.

ერთ დღეს ამირანი ველოსიპედით შინ რომ ბრუნდებოდა, გზაში დათო შემოხვდა.

— ამირან, ცოტა ხნით მათხოვე ველოსიპედი!— სთხოვა დათომ.

ამირანი გაბრაზებული იყო დათოზე, მაგრამ უარი ველარ უთხრა.

— აბა, წაიღე, მხოლოდ ქვა-ღორღებში არ ატარო და მალე მოდი.

დათო მაშინვე შეჯდა ველოსიპედზე. ჯერ იქვე ახლომახლოს დაატარებდა, მერე კი ამირანის ნათქვამი დაავიწყდა და მთელი სისწრაფით გაიქროლა შარაგზაზე. ერთ ადგილას პატარა გუბეს წააწყდა, დათომ ეს ვერ შენიშნა და ველოსიპედიანად შიგ ტყაპანი მოადინა. როცა წამოდგა, თავიანფეხებიანად იყო ამოწუწული. ველოსიპედი გაწმინდა, მაგრამ წინა თვალი დაზიანებო-



ეროვნული
ბიბლიოთეკა

და და აღარ მოძრაობდა.

დათომ ამოიღო ჯიბის დანა, ხან ერთ ჭანჭიკს ეცა და ხან მეორეს. მაგრამ ვერაფერს გახდა, მეტი რა გზა იყო, ველოსიპედი ზურგზე წამოიკიდა და წაიღო.

ამირანი ელოდა, ელოდა დათოს, რომ აღარ გამოჩნდა, გადასწყვიტა, საძებნელად წასულიყო. ეზოს ჭიშკარში რომ გაჭყო თავი, ამ დროს დათოც დაინახა.

— სად იყავი ამდენ ხანს?

დათომ ჭიშკართან ველოსიპედი მიუგდო და გაიქცა.

ამირანი მაშინვე მიხვდა, რომ საქმე ცუდად წაუვიდა, დააპირა, დასდევნებოდა, მაგრამ დათო უკვე შორს იყო. თავი იმით ინუგეშა, სულ ერთია, ერთხელაც ჩამოვარდება ხელშიო. აიღო ველოსიპედი, შეიტანა ეზოში და კარგა ხანს უჩხრიკედელავა. ბოლოს, როგორც იქნა, თვალი აუმოძრავა.

იმ დღიდან გაბრაზებული ამირანი ცდილობდა, დათო როგორმე სადმე ხელში ჩაეგდო, მაგრამ დათო ამირანს თვალს მოჰკრავდა თუ არა, მაშინვე გარბოდა.

გავიდა რამდენიმე დღე და ამირანს მალე გადავიწყდა ყველაფერი. პირიქით, დათო ებრალებოდა კიდეც. ეზოდან გზაზე მიმავალ დათოს რომ დაინახავდა, უნდოდა მისთვის დაეძახა, ჩამოდი ეზოში, ვითამაშოთო, მაგრამ ამირანმა იცოდა, დათო ასე ადვილად არ ენდობოდა.

ერთ დილით, ვიდრე მამა სამუშაოზე წავიდოდა, ამირანი მივიდა მასთან და უთხრა:

— მამა, მე მაქვს ველოსიპედი, დათოს კი არა.

მამას გაეცინა.

— დათოს მამა არა ჰყავს და ვინ უყიდის!...

— კარგი, დათოსაც ვუყიდი ველოსიპედს! — შეპპირდა მამა ამირანს.

საღამოს მამა სამუშაოდან რომ დაბრუნდა, დათოს მართლაც მოუტანია ველოსიპედი.

ბიჭებს აღარაფერი ჰქონდათ სადავო, ველოსიპედებს ხალისიანად დააკროლებდნენ.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანსუღ ჩარკვიანი

ფაფა

მივუჯდები მაგიდას,
მივიფარებ წინსაფარს
და მივირთმევ რძის ფაფას,
ვითხუნნები ფაფითა,—
უხარია პირსაბანს.

ბანაობა

ნაღარით და დაფითა,
ფისოსა ვბანთ საპნითა.
თაგვო, შენი კიჟი მე,
მოდი, დააგვრიჟინე.

ეკლია

ადარა ეგეაავს წიწილა,
ადარ შეგვრჩა ვარია,
ჩემო ზურა, იცი რა?
სულ მელიას ბრალია.

ვინც მელია არ მოჰკლას,
ვაი, მისი სირცხვილი...
საქათმეში ჩუმჩუმად
ქელა კვდება სიცილით.

ნახატები ზ. ფორჩხიძისა

ფერადი ფანქრები

ი. ფაგნევი ნახატი ე. სირბილაძისა

ზღაპარი

ყუთიდან ფერადი ფანქრები გადმოცვივდა. ფანქრებმა მაგიდაზე გაშლილი ალბომი დაინახეს და დაიწყეს დავა, რა დავხატოთო.

წითელმა ფანქარმა თქვა: «მზეო».

ყვითელმა ფანქარმა—«მზესუმზირაო».

ლურჯმა—«ცაო».

ყავისფერმა—«მიწაო».

მწვანემ—«ხეებიო».

შავმა კი თქვა: «ღამეო».

შემდეგ წითელმა ფანქარმა მოისაზრა:

— ძმებო, რა საჭიროა დავა? მოდით, ვისაც რა გვინდა, ის დავხატოთ: მე—მზეს დავხატავ, ყვითელმა—მზესუმზირა დახატოს, ლურჯმა—ცა, ყავისფერმა—მიწა, მწვანემ კი—ხეები... და ჩვენც შესანიშნავი სურათი გამოგვივა.

გაიხარეს ფანქრებმა, მაგრამ როგორც კი ალბომს მიუახლოვდნენ, ისინი შავმა ფანქარმა შეაჩერა:

— მე რატომ დამივიწყეთ? მე მინდა ღამე დავხატო!

ჩაფიქრდნენ ფანქრები, როგორ მოვიქცეთო. თუ შავი ფანქარი ღამეს დახატავს, მაშინ სხვა ფანქრები რაღას დახატავენ; ღამით მზე არ ანათებს, მზესუმზირას ყვითელ ფერს ვერავინ შეამჩნევს და ხის მწვანე ფოთლები, ლურჯი ცა და ყავისფერი მიწა კი მუქ ლაქას დაემსგავსებაო.

ფანქრებმა გადაწყვიტეს, წითელ ფანქარს დავუჯეროთ, ყველამ ჩვენებურად დავხატოთო.

შესანიშნავი სურათი გამოვიდა.

— ასე ხომ!—გაბრაზდა შავი ფანქარი. —მაშინ ყველაფერს წაგიშლით, რაც დახატეთ.

დაიწყო შავმა ფანქარმა სურათების წაშლა და შლიდა მანამ, ვიდრე წვერი არ

გადაუტყდა, მაგრამ მაინც ვერ შესძლო ყველა სურათის წაშლა. ქაღალდს მხოლოდ ჩრდილები დააჩნდა აქა-იქ.

მაგრამ კარგი სურათისათვის სულაც არაა საშიში აქა-იქ დაჩნეული ჩრდილი.

თარგმანი მ. აგიაშვილისა

ბარიელ ხათისაძე

ავტო

მომყავს ავტო კრიალა,
ეზო შემოვატარე.
ავტოს ლია სარკმლიდან
ვესალმები პატარებს.
გვერდით ცუგა მოვისვი,
კუდი მალლა აზიდა,
სასაცილო ფისუნა
ლამის გასკდეს ბრაზითა.
და დავჭრიეთ ეზოში,
ნიავიც ვერ გვეწევა;
მე მძღოლი ვარ, ცუგრია
ჩემი თანაშემწეა.

ზღვასთან

ნახატები ვ. მელიქიშვილისა

— ჩამოდი, ცურვას გასწავლი,
ნახე რა თბილი წყალია!
— ყანაში უნდა წავიდე,
განა სულ შენთვის მცალია?
— რის გეშინია, ჩამოდი,
რატომ ხარ გაუბედავი.
ხმელეთზე სწავლა ცურვისა
სად გაგივია ნეტავი?

ჯ. ჭოგიაშვილი

ბალი

მეზობელი
ეზოს ბელი
ბალზე ბალიშს
ბრაზით ბერტყავს,
ბრაგაბრუგით
ზორბა თათებს
ბალიშს უშენს,
როგორც სეტყვა.
ბინდბუნდამდე
ბუმბლებს ბარდნის,
ეშინია
ჩამოვარდნის!
თან ბურდღუნებს
აბდაუბდას.
ბრიეკ დათუნას
ბეოქვა უნდა!

ეპი

მერაბ სარალიძე

ერთმა კურდღელმა ბაქიაობა დაიწყო. ხმები გაავრცელა, ვინც საჩუქარს არ მომიტანს, ცუდ დღეს დავაყრიო! ბუნაგი გაიკეთა და შიგნიდან იმუქრებოდა, ზოგს მართლა შეეშინდა. ზოგიც ფიქრობდა:— ალბათ ლომმაც იცის, თორემ კურდღელი ამდენს ვერ გაბედავდაო. ვის რა მოჰქონდა და ვის—რა. გამდიდრდა კურდღელი.

ეს ამბავი ლომის ყურამდე მივიდა. ნადირთა მეფემ პირველად აინუნშიც

ეპი



არ ჩააგდო კურდღლის საქციელი. მაგრამ საჩუქრები რომ მოაკლდა, შემდეგ კი გაბრაზდა, კურდღელი დაიბარა და უთხრა:

— თუ მოუკვიანებულხარ, ხომ კარგი, თუ არა და ისეთ საქმეს დაგმართებ, სიცოცხლეს გაგიმწარებო!

კურდღელს შიშისაგან გული გაუსკდა.

ლომმა იფიქრა: ეს თუ ასეთი მშიშარა ყოფილა, აბა, ის რაღა იქნება, ვისაც ამასთან საჩუქარი მიჰქონდაო და ერთი თავისებურად დაიღრიალა.

ლომის ღრიალზე ყველანი გაიფანტნენ.

ლომს გაეცინა და თქვა:

— ვაი მას, ვინც ლომობას დაიჩემებს და ვინც მას დაუჯერებსო!

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ხუმრობანი

ჯანჯალაკი

ზეაფრინა თელავის რაიონის სოფ. ქვემოხოდაშნის საშ. სკ.-ს მოსწავლემ ვლადიმერ ფეფოხიაშვილმა.

გივი გეგეჭკორი

ჯაგა-ჯუჯი,
ჯაგა-ჯუჯი,
გაიბზარა კვლავ ნაჯუჯი,
ეს წიწილა იჩეკება,
არც რძე უნდა,
არც ფარუჩი,
რომ დაეგეიერას თავი მალე,
დაეუძახოთ:
ჯუჯი — ჯუჯი!..

გივი ჩემზე მაღალია,
მე კი მქვია ცეროდენა,
მალე უნდა გავიზარდო,
თორემ გივი მელოდება.

ბაჭიებთან

შ. ხოდაშნელი

მოდით ჩემთან, ბაჭიებო,
ხაღიჩები დავფინოთ.
დედოფაღებს დავაძინებ,
თქვენ მიირთვით სტაფიღო.

„ვეხიოლიე კარტინკი“-დან

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნახატები ე. აბგოკაძისა

თვლა



გიორგი ამირხანოვი

— ბებო, ბებო, სადა ხარ,
მოიტანე სათვალე,
ნახე ჩემი ნაფრომი—
ხუთი ჩხირი გავთალე...
იცი, ჩემო ბებიკო,
დღეს ხუთამდე დავთვალე!

გამოცანები

ასეთი ყუთი ზღაპრული,
არც კი მსმენია მეორე,
რასაც ვიტყვი და ვიმღერებ,
პირწმინდად გაიმეორებს.

მე ვინა მყავს აბა, ცალი,
ხორთუმი მაქვს ხაოცარი,
რაც ვიპოვე, გადავსანსლე,
არ დამჩირდა ერთი წამი.

ერთი ხელი, ერთი თავი,
თავზე თმები უთვალავი,
დარბის თავი, დატრიალებს,
აპრიალებს, აპრიალებს.

ნანუ კერესელიძე

რედაქტორი ჯანსუღ ჩარკვიანი, სარედაქციო კოლეგია: გ. ბეგეშკორი, კ. ბოგიანოვი, ჯ. ლოლუა, ვაჟვალა მრევლიშვილი (რედაქტორის მოადგილე), ჯ. ნინუა, შ. ცხადაძე (სამხატვრო რედაქტორი) რ. ჟღენტი.

ხალხთვალის ალკა ცენტრალური კომიტეტისა და ვ. ი. ლენინის სახელობის ნორჩ პიონერთა ორგანიზაციის
რესპუბლიკური ხალხის ჟურნალი

ყდის მხატვრობა ეკუთვნის ოთარ ჩიჩაკიანს

ტექრედაქტორი ბ. როინიშვილი

გამოცემის ოცდამეცხრამეტე წელი. რედაქციაში შემოსული მასალები აბრუნებს არ დაუბრუნდებათ.

გამომცემლობა „ნაკადული", გამოსცა: შეკვ. № 115, სტამბის შეკვ. № 490, ტირაჟი 42000, ხელმოწერილია დასაბეჭდად 30/III-1964 წ.
ჟურნალი დასაბეჭდავად პოლიგრაფიული კომბინატ „ლენინის ტ." ლენინის ქ. № 14 „ДИЛА" на грузинском языке. Тбилиси, просп. Шаландова № 91.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ბოლქვნიშვილის ქუჩა, № 91, ტელ. 5-37-38.

ფასი 20 კაპ.

76055

Б 99/122





„გაზაფხულდა“—ნახატი ნათელა ჩაგელიშვილისა, 10 წლის. ქ. ორჯონიკიძე.

„ჩემი ქუჩა“—ნახ. ლევან ჭანტურიშვილისა, 8½ წლის. ქ. ბათუმი.

„კოსმონავტები“—ნახ. ალექსანდრე ივანიშვილისა, 7 წლის. ქ. თბილისი.

„შემოდგომა“ ნახ. ნინო სანიკიძისა, 5 წლის. ქ. ქუთაისი.

„უკუაჩო“—ნახ. მედეა ტეფნაძისა, 9 წლის. ხაშური, სოფ. იტრია.